ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N35010401/174

ქ. თბილისი „7" „ნოემბერი" 2016 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" (შემდგომში - „შემსყიდველი"),წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის თამაზ მოდებაძის სახით და მეორე მხრივ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" ოპერატორის, ნატო მუხიგულაშვილის (პ/ნ 35001030352, თანახმად 26.08.2016 წლის მინდობილობისა N O-SGP-LS-PCA-2016-8-26/01) სახით ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესით", აგრეთვე, CON150000068 კონსოლიდირებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მე-5 მუხლის 5.9. პუნქტით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 4 ნოემბრის N3943 თანხმობის საფუძველზე, სახელმწიფო სასსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო ორი - „შემსყიდველს".

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადახადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 კლასიფიკატორი – CPV-09132100-არაეთილირებული ბენზინი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსყიდველის" საჭიროებისთვის 200 (ორასი) ლიტრი საწვავის ბენზინი ევრო რეგულარის (ოქტანობა - 92.7) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 328 (სამას ოცდარვა) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ერთეულის - 1 (ერთი) ლიტრი ბენზინი ევრო რეგულარის ფასი შეადგენს 1.64 (ერთი ლარი, 64 თეთრი) ლარს;

3.3. „მიმწოდებელი" წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საქონელს შემსყიდველს გადასცემს 10, 20 ან 50 ლიტრიანი ნომინალის ტალონებით;

3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ „მიმწოდებლის" ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დ.ღ.გ.-ს, აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

4 ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის დღის მომდევნო 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5.2 „შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს „შემსყიდველის" ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ზაზა შავლიაშვილი.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საწვავის მიწოდებას „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ტალონური სისტემით. მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით.

6.2 საწვავის ტალონების მიწოდება („შემსყიდველისთვის"გადაცემა) განხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, ზოლოყაშვილის ქ.N1.

6.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია, „შემსყიდველის" (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) მოთხოვნიდან 2 (ორი) დღეში დაამზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს „შემსყიდველს" (მის მიერ უფლებამოსილი პირს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები (10, 20 ან 50 ლიტრიანი ტალონის ნომინალით). ტალონის გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან გამადგურების რისკი გადადის „შემსყიდველზე", ამასთან უკვე გაცემული ტალონები არ ექვემდებარება დამრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ყოველ ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს: „მიმწოდებლის" ლოგო წარწერით - „სოკარი", ტალონის ნომერი, საწვავის სახეობა, საწვავის რაოდენობა.

6.4 „შემსყიდველისათვის" გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. ამასთან, „შემსყიდველს" არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა.

6.5 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს „შემსყიდველის" ავტომანქანის გამართვა ან „შემსყიდველის" წარმომადგენელის მიერ წარდგენილი შესაბამისი ტევადობის ჭურჭლის შევსება. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

6.6 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1.5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართი სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

6.7 საწვავის ტალონების მიწოდება („შემსყიდველისთვის" გადაცემა) განხორციელდება არა უგვიანეს 2016 წლის 10 ნოემბერი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მიწოდებული საწვავის რაოდენობის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1 წერილობით ავნიოს „მიმწოდებელს" საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.3. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.4.1. გააფრთხილოს „შემსყიდველი" საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს (კონტროლი) ინსპექტირება, რომლის მიზანია საქონლის რაოდენობის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ (კონტროლს) ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველის" შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელს შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისაგან" საწვავის მიწოდების თაობაზე მოთხოვნის (წერილობითი ან/და ზეპირი) მიღებისას, მხარეები ვალდებულნი არიან „მიმწოდებლის" მიერ საწვავის მოთხოვნის მიღების დღისათვის არსებული მონაცემების გამოყენებით მოახდინონ ფასების გადაანგარიშება, ამ მუხლით განსაზღვრული წესით და თუკი ადგილი ექნება 3.1 და 3.2. პუნქტებში მითითებული ფასების შეცვლის საფუძველს, შემდგომში წერილობითი შეთანხმებით გაფორმონ ახალი ფასები. თუ ამ საფუძველს არ ექნება ადგილი, ძალაში დარჩება მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული ფასი. ფასი ძალაში დარჩება გადაანგარიშებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადით. თუკი „შემსყიდველი" აღნიშნულ ვადაში არ მოახდენს საწვავის შესყიდვას, გადაანგარიშებული ფასები კარგავს ძალას და „შემსყიდველი" ვალდებული იქნება ხელახლა წარმოუდგინოს „მიმწოდებელს" საწვავის მოთხოვნის შესახებ განაცხადი.

10.2. ფასის შესაძლო ცვლილების შესახებ მეორე მხარის გაფრთხილება ან რაიმე სახის შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

13.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

13.6. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
13.7. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არა უგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.
13.8. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სოციალური მომსახურების სააგენტო ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი N144 საიდენტიფიკაციო კოდი N202178927	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ მის.: ქ.თბილისი, ბურძგლას ქ.N56 საიდენტიფიკაციო კოდი: 202352514 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი:BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600 ტელ.: 249 97 57
თამაზ მოდებაძე სააგენტოს დირექტორის მოადგილე	ნატო მუხიგულაშვილი იურისტი

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

ბ. დათუკიშვილი

ა. ფასაძე

ზ. ჭანტურია

ზ. მაკლიაშვილი

07.11.2016 წ.

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2016 წლის 7 ნოემბერს „შემსყიდველის" საჭიროებისათვის 200 (ორასი) ლიტრი საწვავის ბენზინი ეურო რეგულარის გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულ N35010401/172 ხელშეკრულებაში, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე – 8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

სააგენტოს დირექტორის მოადგილე
თამაზ მიდელაძე

ლელა მაჩოლაშვილი

ბესიკ დათუკიშვილი

ზაზა ჭანტურია

ავთანდილ ვასაძე

ზაზა შავლიაშვილი